

კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
შპს “მმს გრუპი”

პერიოდი: 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member



PrimeGlobal

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11



შპს „მმს გრუპ“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „მმს გრუპ“-ის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის „-ს შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფასს" მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
დავით ბერიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
გურანდა თურმანიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო



შპს „მმს გრუპ“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „მმს გრუპ“-ის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფასს“ მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით

დირექტორი
დავით ბერიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
გურანდა თურმანიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მმს გრუპ“-ის მენეჯმენტს და მეწილეს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მმს გრუპ“-ის („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი”-ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, „ფასს“ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 877 746 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4 501 486 ლარს). 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულებები მარაგების ღირებულების დასადასტურებლად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა მარაგებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 1 130 750 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 368 561 ლარს). 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების ღირებულების დასადასტურებლად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პაუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მმს გრუპ“-ის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული აუდიტი არის პირველი ჯგუფისთვის და შესაბამისად, ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშგების იმ მუხლების საწყისი ნაშთები რომლებიც გავლენას ახდენს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“- ს შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „მმს გრუპ“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „მმს გრუპ“-ის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ

აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ინიციალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
PrimeGlobal -ის წევრი
2024 წლის 30 სექტემბერი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ინიციალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.



გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
PrimeGlobal -ის წევრი
2024 წლის 30 სექტემბერი

თამილა ჩაგელიშვილი

რეგისტრირებული აუდიტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1 130 750	368 561	223 715
არამატერიალური აქტივები	5	61 129	59 830	59 439
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 191 879	428 391	283 154
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	877 746	4 501 486	124 419
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	157 471	204 584	661 725
გაცემული ავანსები		289 460	63 085	28 073
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	636 080	493 916	326 019
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 960 757	5 263 071	1 140 236
სულ აქტივები		3 152 636	5 691 462	1 423 390
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		2 227 361	277 418	1 272 875
არამაკონტროლებელი წილი		(4 997)	(4 664)	(4 468)
სულ კაპიტალი		2 222 364	272 754	1 268 407
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		106 543	140 385	112 337
მიღებული ავანსები		724 702	4 748 502	42 068
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	99 027	529 822	578
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		930 272	5 418 709	154 983
სულ ვალდებულებები		930 272	5 418 709	154 983
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3 152 636	5 691 463	1 423 390

დირექტორი

დავით ბერიძე

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

გურანდა თურმანიძე

30 სექტემბერი, 2024


თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშნა	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	4	1 130 750	368 561	223 715
არამატერიალური აქტივები	5	61 129	59 830	59 439
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 191 879	428 391	283 154
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	877 746	4 501 486	124 419
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	157 471	204 584	661 725
გაცემული ავანსები		289 460	63 085	28 073
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	636 080	493 916	326 019
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 960 757	5 263 071	1 140 236
სულ აქტივები		3 152 636	5 691 462	1 423 390
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		2 227 361	277 418	1 272 875
არამაკონტროლებელი წილი		(4 997)	(4 664)	(4 468)
სულ კაპიტალი		2 222 364	272 754	1 268 407
ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები		106 543	140 385	112 337
მიღებული ავანსები		724 702	4 748 502	42 068
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	99 027	529 822	578
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		930 272	5 418 709	154 983
სულ ვალდებულებები		930 272	5 418 709	154 983
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3 152 636	5 691 463	1 423 390



დირექტორი
დავით ბერიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო



ბუღალტერი
გურანდა თურმანიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი	10	12 228 007	7 882 296
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(7 582 040)	(4 972 089)
საერთო მოგება		4 645 967	2 910 207
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	12	(11 292)	(5 646)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(764 947)	(638 020)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება		101 923	(485 516)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		3 971 651	1 781 025
ფინანსური ხარჯები		(477)	(5 592)
ფინანსური შემოსავალი		-	927
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)	14	(9 897)	(110 503)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	650 349	2 590
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(3 750)	(726 075)
მოგება (ზარალი) დაბეგრამდე		4 607 876	942 372
მოგების გადასახადის ხარჯი		(399 314)	(291 621)
წმინდა მოგება (ზარალი)		4 208 562	650 751
წმინდა მოგება (ზარალი):			
მფლობელებისათვის		4 208 895	650 947
არა-კონტროლირებადი პროცენტი		(333)	(196)

დირექტორი

დავით ბერიძე

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

გურანდა თურმანიძე

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	12 228 007	7 882 296
	11	(7 582 040)	(4 972 089)
საერთო მოგება		4 645 967	2 910 207
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	12	(11 292)	(5 646)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(764 947)	(638 020)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება		101 923	(485 516)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		3 971 651	1 781 025
ფინანსური ხარჯები		(477)	(5 592)
ფინანსური შემოსავალი		-	927
წმინდა საკუთსო მოგება/(ზარალი)	14	(9 897)	(110 503)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15	650 349	2 590
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	16	(3 750)	(726 075)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		4 607 876	942 372
მოგების გადასახადის ხარჯი		(399 314)	(291 621)
წმინდა მოგება (ზარალი)		4 208 562	650 751
წმინდა მოგება (ზარალი):			
მფლობელებისათვის		4 208 895	650 947
არა-კონტროლირებადი პროცენტი		(333)	(196)

დირექტორი
დავით ბერიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი
გურანდა თურმანიძე
30 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება (აკუმულირებული ზარალი)	არამაკონტროლებელი წილი	ჯამურად
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 272 875	(4 468)	1 268 407
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	650 947	(196)	650 751
გამოცხადებული დივიდენდი	(1 646 405)		(1 646 405)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	277 418	(4 664)	272 754
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	4 208 895	(333)	4 208 562
გამოცხადებული დივიდენდი	(2 258 951)		(2 258 951)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 227 361	(4 997)	2 222 364

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება (ზარალი)	4 208 562	650 751
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა	64 331	50 562
ამორტიზაცია	26 866	28 975
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	9 897	110 504
საპროცენტო ხარჯი	478	5 592
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	4 310 133	846 384
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	40 111	403 468
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3 623 740	(4 377 067)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	177	116
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(34 019)	27 932
ცვლილებები გაცემული ავანსები	(226 375)	(35 012)
ცვლილებები მიღებული ავანსებში	(4 023 800)	4 706 434
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	(426 337)	543 744
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3 263 630	2 115 999
გადახდილი პროცენტი	(478)	(5 592)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3 263 152	2 110 406
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(826 520)	(195 408)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(28 165)	(29 366)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(854 685)	(224 774)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოძინება მიღებული სესხებიდან	1 110 000	1 055 000
მიღებული სესხების დაფარვა	(1 110 000)	(1 055 000)
დივიდენდების გადახდა	(2 258 951)	(1 646 405)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(2 258 951)	(1 646 405)
ფულისა და ექვივალენტების წეტო ცვლილება	149 516	239 228
უცხოური ვალუტის ეფექტიფულზე	(7 352)	(71 329)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	493 916	326 019
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	636 080	493 917

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს “ მმს გრუპ” (ს/ნ: 445472774) დაარსდა 2015 წლის 6 ნოემბერს. მის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს გემების ტექნიკური დათვალიერება და რემონტი. კომპანია ასევე ახორციელებს სხვადასხვა სამშენებლო სარემონტო სამუშაოებს; გარდა ამისა, ფლობენ შემდუღებელთა და მეჯამბარეთა მომზადების ცენტრს; მათი საქმიანობა ასევე მოიცავს სხვადასხვა საბორტო აღჭურვილობის პერიოდულ ინსპექტირებასა და ტესტირებას .

კომპანიის მეწილეები არიან:

- ზაურ ასაძა (პ/ნ: 61003001306) – 25%
- აკაკი მგელაძე (პ/ნ: 61001034433) – 25%
- გურამ ველიაძე (პ/ნ: 61001003846) – 25%
- ნინო ვარშანიძე (პ/ნ: 61006001522) – 25%

შპს “მმს გრუპ” წილს ფლობს შემდეგ კომპანიებში:

კომპანია	ს/ნ	შპს “მმს გრუპ”- ის წილი	დაფუძნების თარიღი	საქმიანობა	სტატუსი
შპს ბაზა	445571079	95%	27/11/2019	სამშენებლო მასალების ყიდვა-გაყიდვა	კომპანიას შეჭერებული აქვს საქმიანობა, ხორციელდება მხოლოდ ხარჯების და გადასახადების ადმინისტრირება.
შპს ბალონების ტესტირების სერვისი	445515871	100%	13/09/2017	ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილების ტესტირების სერვისი	უმოქმედო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს ჯგუფის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844	3.5040
ლარი/1 დიდი ბრიტანეთის			
გირვანქა სტერლინგი	3.4228	3.2581	4.1737
ლარი/1 თურქული ლირა	0.0910	0.1443	0.2379

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობები: 10 წელი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა: 3 - 13 წელი
- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი: 3-5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები: 10 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამების და საზღვაო ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. კომპიუტერული პროგრამების ამორტიზაციის ნორმა არის 1-10 წელი;

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფს არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან

(ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც:

- (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან
- (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთ ხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) ჯგუფი გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) ჯგუფი მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) ჯგუფი განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

ჯგუფი ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება ჯგუფი საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ცვლილებები წარდგენაში

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ გარკვეული უზუსტობები წინა საანგარიშგებო წლებში. აღნიშნული უზუსტობების კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	2022 წლის 31 დეკემბერი (აუდიტებული)	ცვლილება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	368 561	(7 021)	375 582
არამატერიალური აქტივები	59 830	-	59 830
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	428 391	(7 021)	435 412
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4 501 486	180	4 501 306
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	204 584	(626 661)	831 245
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	(582 425)	582 425
გაცემული ავანსები	63 085	63 085	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	493 916	7 434	486 482
სულ მოკლევადიანი აქტივები	5 263 071	(1 138 387)	6 401 458
სულ აქტივები	5 691 462	(1 145 408)	6 836 870
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	277 418	(1 290 423)	1 567 841
არამაკონტროლებელი წილი	(4 664)	(4 664)	-
სულ კაპიტალი	272 754	(1 295 087)	1 567 841
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	140 385	140 385	-
მიღებული ავანსები	4 748 502	4 748 502	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	529 822	(4 739 207)	5 269 029
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5 418 709	149 680	5 269 029
სულ ვალდებულებები	5 418 709	149 680	5 269 029
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	5 691 463	(1 145 407)	6 836 870

	2021 წლის 31 დეკემბერი (აუდიტირებული)	ცვლილება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	223 715	(8 694)	232 409
არამატერიალური აქტივები	59 439	-	59 439
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	283 154	(8 694)	291 848
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	124 419	71	124 348
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	661 725	(90 172)	751 897
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	(2 977)	2 977
გაცემული ავანსები	28 073	28 073	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	326 019	-	326 019
სულ მოკლევადიანი აქტივები	1 140 236	(65 005)	1 205 241
სულ აქტივები	1 423 390	(73 699)	1 497 089
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	1 272 875	(83 103)	1 355 978
არამაკონტროლებელი წილი	(4 468)	(4 468)	-
სულ კაპიტალი	1 268 407	(87 571)	1 355 978
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	112 337	(2 764)	115 101
მიღებული ავანსები	42 068	42 068	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	578	(25 432)	26 010
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	154 983	13 872	141 111
სულ ვალდებულებები	154 983	13 872	141 111
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1 423 390	(73 699)	1 497 089

	12 თვე, 2022წ. (აუდიტირებული)	ცვლილება 2022 წლის 12 თვეზე	თავდაპირველი წარდგენა
შემოსავალი	7 882 296	(363)	7 882 659
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4 972 089)	(939)	(4 971 150)
საერთო მოგება	2 910 207	(1 302)	2 911 509
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	(5 646)	-	(5 646)
ადმინისტრაციული ხარჯები	(638 020)	962	(638 982)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება	(485 516)	(485 516)	-
საოპერაციო მოგება (ზარალი)	1 781 025	(485 856)	2 266 881
ფინანსური ხარჯები	(5 592)	-	(5 592)
ფინანსური შემოსავალი	927	-	927
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(110 503)	1 243	(111 746)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2 590	63	2 527
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(726 075)	(722 967)	(3 108)
მოგება (ზარალი) დაბეგრამდე	942 372	(1 207 517)	2 149 889
მოგების გადასახადის ხარჯი	(291 621)	89	(291 710)
წმინდა მოგება (ზარალი)	650 751	(1 207 428)	1 858 179
წმინდა მოგება (ზარალი):			
მფლობელებისათვის	650 947	650 947	-
არა-კონტროლირებადი პროცენტი	(196)	(196)	-

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივებისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივიებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფი ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწვდიან ჯგუფში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 31.12.2021	-	31 916	195 867	91 548	70 790	390 121
შემოსვლა	-	-	3 044	21 204	171 160	195 408
გასვლა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	-	31 916	198 911	112 752	241 950	585 529
შემოსვლა	612 158	-	32 866	23 433	158 063	826 520
გასვლა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	612 158	31 916	231 777	136 185	400 013	1 412 049
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება						
ბალანსი 31.12.2021	-	(12 591)	(87 652)	(39 495)	(26 668)	(166 406)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(2 989)	(18 124)	(16 515)	(12 934)	(50 562)
ბალანსი 31.12.2022	-	(15 580)	(105 776)	(56 010)	(39 602)	(216 968)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდისათვის	-	(2 989)	(18 953)	(18 449)	(23 940)	(64 331)
ბალანსი 31.12.2023	-	(18 569)	(124 729)	(74 459)	(63 542)	(281 299)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 31.12.2021	-	19 325	108 215	52 053	44 122	223 715
ბალანსი 31.12.2022	-	16 336	93 135	56 742	202 348	368 561
ბალანსი 31.12.2023	612 158	13 347	107 048	61 726	336 471	1 130 750

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სულ
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2021	22 359	147 843	170 202
შემოსვლა	-	29 366	29 366
გასვლა	-	(99 861)	(99 861)
ბალანსი 31.12.2022	22 359	77 348	99 707
შემოსვლა	-	28 165	28 165
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	22 359	105 513	127 872
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 31.12.2021	(4 657)	(106 106)	(110 763)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	-	99 861	99 861
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(2 202)	(26 773)	(28 975)
ბალანსი 31.12.2022	(6 859)	(33 018)	(39 877)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	-	-	-
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(2 203)	(24 663)	(26 866)
ბალანსი 31.12.2023	(9 062)	(57 681)	(66 743)
წმინდა ღირებულება			
ბალანსი 31.12.2021	17 702	41 737	59 439
ბალანსი 31.12.2022	15 500	44 330	59 830
ბალანსი 31.12.2023	13 297	47 832	61 129

6. სასაქონლო - მატერიალური მარაგები

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	437 078	517 185	114 619
დაუმთავრებელი წარმოება	426 960	3 970 786	100
სხვა მარაგები	13 708	13 515	9 700
სულ	877 746	4 501 486	124 419

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	587 960	767 431	739 368
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(461 628)	(563 551)	(78 035)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	30 803	704	323
წინასწარ გადახდილი ხარჯები	336	-	69
სულ	157 471	204 584	661 725

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
ლარი საბანკო ანგარიშებზე	357 810	449 559	109 154
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	45 974	35 585	216 577
ევრო საბანკო ანგარიშებზე	1 697	107	288
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი საბანკო ანგარიშებზე	402	383	-
თურქული ლირა საბანკო ანგარიშებზე	982	-	-
საბანკო გარანტია ლარში	107 203	7 946	-
საბანკო გარანტია დოლარში	121 727	-	-
სულ ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	635 795	493 580	326 019
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	286	-	-
ნაღდი ფული სალაროში აშშ დოლარში	-	336	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	286	336	-
სულ	636 081	493 916	326 019

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	97 616	521 478	-
გადასახდელი ხელფასები	1 411	3 996	578
სსიპ საპენსიო სააგენტო	-	3 771	-
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	-	577	-
სულ	99 027	529 822	578

10. შემოსავალი

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	11 851 677	7 096 969
შემოსავალი მომსახურებიდან	376 330	785 327
სულ	12 228 007	7 882 296

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
შესრულებული პროექტების თვითღირებულება	7 358 080	4 462 142
ძირითადი მასალების თვითღირებულება	200 431	495 415
საწვავის ხარჯები	15 763	7 601
დამხმარე მასალების თვითღირებულება	7 762	6 660
სხვა თვითღირებულების ხარჯები	4	271
სულ	7 582 040	4 972 089

12. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
რეკლამის ხარჯები	10 997	1 519
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	295	4 127
სულ	11 292	5 646

13. ადმინისტრაციული ხარჯები

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
თანამშრომელთა ხელფასი	456 209	342 048
ცვეთა და ამორტიზაცია	91 235	79 536
იჯარის ხარჯები	73 932	73 932
მომსახურების ხარჯები	33 972	43 117
რემონტის ხარჯები	20 438	9 220
წარმომადგენლობითი ხარჯები	16 594	9 499
ბანკის მომსახურების საკომისიო	14 113	21 564
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	13 167	11 215
საპენსიო ფონდის ხარჯები	12 559	8 991
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	6 828	16 766
მივლინების ხარჯები	6 243	1 011
ტრენინგის ხარჯები	4 885	4 218
საგადასახადო ხარჯები	4 436	2 964
კომპიუტერის ხარჯები	3 726	1 055
საკონსულტაციო ხარჯები	2 051	2 772
საკანცელარიო ხარჯები	2 010	2 058
ტენდერში მონაწილეობის ხარჯები	1 482	5 486
სატრანსპორტო ხარჯები	191	646
დაზღვევის ხარჯები	876	1 922
სულ	764 947	638 020

14. წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	89 669	137 911
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	99 566	248 414
წლის წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(9 897)	(110 503)

15. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
სსიპ შემოსავლების სამსახურთან შედარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი (ხარჯი)	645 671	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4 677	2 590
სულ	650 349	2 590

16. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
სსიპ შემოსავლების სამსახურთან შედარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი (ხარჯი)	-	723 762
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3 750	2 313
სულ	3 750	726 075

17. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე ჯგუფის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ ჯგუფი მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია „მსს ფასს“-ში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან

(ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემო

შპს „მმს გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო ფულადი ერთეული ლარი

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	დარიცხული ხელფასი	
ხელმძღვანელობა	-	-	196	
მეკავშირე საწარმოები	424 169	833	-	
მეკავშირე პირები	324			
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	424 492	833	196	
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	დარიცხული ხელფასი	
ხელმძღვანელობა	-	-	144	
მეკავშირე საწარმოები	511 409	24 943	-	
მეკავშირე პირები	15 840	4 200	-	
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	527 249	29 143	144	
ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021	დებიტორული დავალიანება			
მეკავშირე საწარმოები	601 149			
მეკავშირე პირები	15 840			
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	616 989			
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	გადახდილი დივიდენდები	გაყიდვები	შესყიდვები	მომსახურების ანაზღაურება
მეწილეები	2 258 653	-	-	-
ხელმძღვანელობა	-	265	-	597
მეკავშირე საწარმოები	-	1 519	127 634	-
მეკავშირე პირები	-	-	29 875	4 951
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	2 258 653	1 784	157 509	5 548
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	გადახდილი დივიდენდები	გაყიდვები	შესყიდვები	მომსახურების ანაზღაურება
მეწილეები	1 646 316	-	28 075	1 350
ხელმძღვანელობა	-	336	-	-
მეკავშირე საწარმოები	-	-	358 145	-
მეკავშირე პირები	-	369	25 432	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	1 646 316	705	411 652	1 350
მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2023 წელი	2022 წელი	2021 წელი	
მეწილეები	-	338	1 786	
ხელმძღვანელობა	90 976	103 230	66 292	
მეკავშირე პირები	23 314	414	13 567	
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	114 290	103 981	81 645	

19. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ჯგუფის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ჯგუფმა დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გაიცა 915,284 ლარი დივიდენდი.

21. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

ჯგუფის მიმდინარე ოპერაციების გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან ჯგუფის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

კომპანიას ჰყავს ორი უმოქმედო შვილობილი საწარმო, თუმცა მათი საქმიანობა არ ახდენს გავლენას ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე.

22. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.